საქართველოს ეკონომიკური
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMIC
DEVELOPMENT OF GEORGIA

„30" 09 2008 წ. № 14/49

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს

გაცნობებთ, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, საქართველოსა და ევროკავშირს შორის „საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის სტატუსის შესახებ" სპეციალური შეთანხმების (ე.წ. "Status of Mission Agreement" - SOMA) პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ გააჩნია.

პატივისცემით,

გიორგი ცხაკაია

მინისტრის მოადგილე

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
№ 19037/2-0
" 1 10 2008
1 ფ.

0108 თბილისი, ჭანტურიას ქ. № 12
12, G. Chanturia Str., 0108 Tbilisi, Georgia

Tel.: (995 32) 93 33 61, 98 43 11
Fax: 92 19 29, 93 28 61, 92 01 08

საქართველო
GEORGIA

თავდაცვის სამინისტრო
MINISTRY OF DEFENCE

№ 2/150.
„27" 09 2008 წ.

ფრიად სასწრაფო

საქართველოს საგარეო საქმეთა
მინისტრის პირველ მოადგილეს
ბატონ გიორგი ბოკერიას

ბატონო გიორგი,

თქვენი ა.წ. 25 სექტემბრის №2/16044-14 წერილთან დაკავშირებით, რომელიც ევროკავშირსა და საქართველოს შორის "სამოქალაქო კრიზისის მენეჯმენტის მისიის სტატუსის შესახებ" შეთანხმების პროექტს ეხება, გაცნობებთ, რომ აღნიშნული პროექტის მიმართ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, მისი კომპეტენციის ფარგლებში, შენიშვნები და წინადადებები არ გააჩნია.

პატივისცემით,

ბაოუ ქუთელია
მინისტრის პირველი მოადგილე

საგარეო საქმეთა სამინისტრო
№18840/2-01
27.09.2008
1/10
+ 11 +

0112 ქ. თბილისი, გენერალ გ. ყვინიტაძის ქ. 20 ტელ./ფაქსი: (+995 32) 912058
20 General G. Kvinitadze Str. 0112, TBILISI, GEORGIA, Tel./Fax: (+995 32) 912058
E-mail: mod@geo.net.ge

საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში

№ 08-3-503

30 09 2008

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის
პირველ მოადგილეს
ბატონ გიორგი ბოკერიას

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ „ევროკავშირსა და საქართველოს შორის სამოქალაქო კრიზისის მენეჯმენტის მისიის სტატუსის შესახებ შეთანხმების" პროექტის მიმართ ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

თამარ ბერუჩაშვილი

რეინტეგრაციის საკითხებში
საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
OFFICE OF THE STATE MINISTER OF GEORGIA
ON REINTEGRATION

№ 4-5/450
08. 10. 2008

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის
მოადგილეს ბატონ გიორგი ბოკერიას

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა შეისწავლა "ევროკავშირსა და საქართველოს შორის სამოქალაქო კრიზისის მენეჯმენტის მისიის სტატუსის შესახებ შეთანხმების" პროექტი, რომლის თაობაზეც შენიშვნები არ გაგვაჩნია.

გვსურს აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფო მინისტრის აპარატი მიესალმება ევროპის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის ფორმატში განხორციელებულ მისიას და ხაზგასმით აღნიშნავს მის პოლიტიკურ მნიშვნელობას.

საუკეთესო სურვილებით,

რუსლან აბაშიძე
სახელმწიფო მინისტრის მოადგილე

0108 თბილისი, რუსთაველის გამზ.12 0108 Tbilisi, Rustaveli ave.12 ტელ./ფაქსი: Tel./Fax: (995 32) 92 18 91

ქ. ნ.-26/09/
ro 35
260908

შინაგან საქმეთა სამინისტრო
საქართველოს სასაზღვრო პოლიცია

№ 38-2-2/2/2-163 „26" 09 2008 წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის
მოადგილეს ბატონ გ. ბოკერიას

ბატონო გიორგი,

თქვენი ამა წლის 25 სექტემბრის № 2/16048-14 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ "ევროკავშირსა და საქართველოს შორის სამოქალაქო კრიზისის მენეჯმენტის მისიის სტატუსის შესახებ შეთანხმების" პროექტის განახლებულ ვერსიასთან დაკავშირებით, ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში, შენიშვნები და წინადადებები არ გაგვაჩნია.

ორმ პატივისცემით,

უფროსის მოადგილე ე. გიგაური

საქართველოს საგარეო საქმეთა
№ 18839/2-04
26 09 2008
1 ფ.
+02+ საფრთხეების

0160, თბილისი, ს. კანდელაკის ქ. 12, ტელ.: +995 32 370262, ფაქსი: +995 32 370262. ელ. ფოსტა: info@gbg.gov.ge

საქართველო

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 426/14
„09" 10 2008

დასკვნა

„ევროკავშირსა და საქართველოს შორის საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის სტატუსის შესახებ შეთანხმების" პროექტზე

სამინისტრომ განიხილა „ევროკავშირსა და საქართველოს შორის საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის სტატუსის შესახებ შეთანხმების" პროექტი და ქვეყნის საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიაჩნია, წარმოდგენილი შეთანხმების დადება.

ნინო კალანდაძე
მინისტრის მოადგილე

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის 1. №4; ტელ: (995 32) 284648; ფაქსი; (995 32) 284678 www. mfa.gov.ge

საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო

MINISTRY OF FINANCE
OF GEORGIA

№ 05-05/9103 „30" 09 2008

თქვენს № _____

თქვენი 25.09.2008 წლის 2/16042-14
წერილის თაობაზე

საქართველოს საგარეო საქმეთა
სამინისტრო

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ განიხილა „ევროკავშირსა და საქართველოს შორის სამოქალაქო კრიზისის მენეჯმენტის მისიის სტატუსის შესახებ შეთანხმების" პროექტი და ჩვენს კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ შენიშვნები არ გაგვაჩნია.

დიმიტრი გვინდაძე
მინისტრის მოადგილე

საქართველოს საგარეო საქმეთა
№ 19119/2-0
2 10 2008

ქ. თბილისი 0114, ვ. გორგასლის ქ. №16, ტელ.: 446412, ფაქსი: 457442, ელ-ფოსტა: info@mof.ge
16 Gorgasali Street, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: 446412, Fax: 457442. E-mail: info@mof.ge

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL
AFFAIRS OF GEORGIA

№ 01-10/03/10674
01 " 10 " 2008 წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის
პირველ მოადგილეს, ბატონ გიგა ბოკერიას

ბატონო გიგა,

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ევროკავშირის სამოქალაქო კრიზისის მენეჯმენტის მისიის სტატუსის შესახებ შეთანხმების პროექტის მე-9 და მე-19 მუხლებთან დაკავშირებით, მიგვაჩნია, რომ უნდა შემუშავდეს დამატებითი შეთანხმების დოკუმენტი, სადაც მისიასთან ერთობლივად განისაზღვრება მისი პერსონალის სამედიცინო ევაკუაციის პირობები, ევაკუაციის სპეციალური სქემა, რომელიც შესაბამისობაში იქნება ევაკუაციის წინასწარ განსაზღვრულ მასშტაბებთან და მოქმედების არეალთან. ამავე დოკუმენტში, საჭიროების შემთხვევაში, მითითებული იქნება ის სამედიცინო დაწესებულებები, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაბამის სერვისებს.

პატივისცემით,

ირაკლი გიორგობიანი

მინისტრის პირველი მოადგილე

თბილისი, 0160, პეკინის ქ. 30; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
ტელ.: (+995 32) 38 70 71; ფაქსი: (+995 32) 38 12 35

30, Pekini st., 0160, Tbilisi, E-Mail: info@moh.gov.ge
Tel.: (+995 32) 38 70 71; fax: (+995 32) 38 12 35

საქართველოს
გენერალური პროკურატურა
Office of the Prosecutor General of Georgia

№ 30.09.2008/41 200

ქ. თბილისი

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის
პირველ მოადგილეს ბატონ გიორგი ბოკერიას

ბატონო გიორგი,

თქვენი მიმდინარე წლის 25 სექტემბრის №2/16046-14 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ „საქართველოსა და ევროკავშირს შორის სამოქალაქო კრიზისის მენეჯმენტის მისიის სტატუსის შესახებ შეთანხმების" პროექტთან დაკავშირებით საქართველოს გენერალურ პროკურატურას არ გააჩნია შენიშვნები.

პატივისცემით,

კახა კობერიძე
გენერალური პროკურორის მოადგილე

0133 თბილისი, გორგასლის ქ. 24; ტელ.: +(995 32) 40 51 42; ფაქსი +(995 32) 40 51 42 www.psg.gov.ge
24, Gorgasali str., Tbilisi 0133, Georgia. Tel.: +(995 32) 40 51 42; Fax: +(995 32) 40 51 42 www.psg.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA

№ 01/23/03-7161 26 09 2008 წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა
მინისტრის პირველ მოადგილეს
ბატონ გიორგი ბოკერიას

ბატონო გიორგი,

თქვენი მიმდინარე წლის 25 სექტემბრის №2/16045-14 წერილის შესაბამისად საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა „ევროპის კავშირსა და საქართველოს შორის საქართველოში ევროპის კავშირის მონიტორინგის მისიის სტატუსის შესახებ" შეთანხმების პროექტი და გაცნობებთ შემდეგს:

პროექტის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით გასათვალისწინებელია „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „თ" ქვეპუნქტი და მე-14 მუხლის პირველი პუნქტი, რომლითაც დადგენილია უცხოელთათვის საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლაზე უარის თქმის საფუძვლები.

პროექტის მე-5 მუხლითა და მე-6 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული იმუნიტეტები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ვრცელდება დიპლომატიური პრივილეგიებისა და იმუნიტეტების მქონე პირებზე, მათი ოჯახის წევრებზე და შესაბამისად, დიპლომატიური წარმომადგენლობის მიერ დაკავებულ შენობაზე. აღნიშნული პრივილეგიებისა და იმუნიტეტების საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის პერსონალზე გავრცელება უნდა გადაწყდეს საკითხის მიზანშეწონილობიდან გამომდინარე.

შეთანხმების პროექტით გათვალისწინებულ რიგ საბაჟო და საგადასახო შეღავათებს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ითვალისწინებს მხოლოდ დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ წარმომადგენლებთან მიმართებით. შესაბამისად, აღნიშნული შეღავათების საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის პერსონალზე გავრცელება უნდა გადაწყდეს საკითხის მიზანშეწონილობიდან გამომდინარე.

საქართველო, ქ. თბილისი, 0146, რუსთაველის გამზირი №30. ტელ.: 75-82-76, ფაქსი: 75-82-76, ელ.ფოსტა: Intlawden@justice.ge

პროექტის მე-15 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით გასათვალისწინებელია, რომ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობა წარმოადგენს სალიცენზიო საქმიანობის სახეს, რომლისთვისაც „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-14 პუნქტის „დ" ქვეპუნქტით დადგენილია შესაბამისი მოსაკრებელი. ამავე კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სალიცენიზიო მოსაკრებლის გადახდაზე შეღავათები დგინდება მხოლოდ ამ კანონით.

ამასთან, გაცნობებთ, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის, საქართველოს საბაჟო კოდექსის 170-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის თანახმად, წარმოდგენილი შეთანხმების პროექტი ექვემდებარება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებას.

პატივისცემით,

ზაზა თავაძე
მინისტრის მოადგილე

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

№ _____ „____" _____ 200 წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის
პირველ მოადგილეს ბატონ გიორგი ბოკერიას

ბატონო გიორგი,

თქვენი 2008 წლის 25 სექტემბრის #2/16041-14 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ევროკავშირსა და საქართველოს შორის სამოქალაქო კრიზისის მენეჯმენტის მისიის სტატუსის შესახებ შეთანხმების ტექსტის მიმართ შინაგან საქმეთა სამინისტროს შენიშვნები არ გააჩნია.

ეკა ზღულაძე

მინისტრის პირველი მოადგილე

0114, თბილისი, გ. გულუას ქ. 10, ტელ.: (+995 32) 411068, ტელ./ფაქსი: (+995 32) 411017, (+995 32) 272934, ელ.ფოსტა: info@pol.ge